კვირა, 20 იანვარი 1908 წ.

# ისარი

წელიწადი მეორე—№ 16

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—90 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

კვირას, 20 იანვარს,

## ადამ [ბიბო] ადამის ძის ყაზბეგის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა ეკატერინე ხვიმონის ასული, ქალი ნინა ადამის ასული და ძმისწული ხოფიო არსენის ასული ყაზბეგნი.

პანაშვიდი დაიწყება კვირის შემდეგ დილის 11 საათზე. (1—34—1)

ანნა (საშა) ტყავაძისა მეუღლითურთ მარიამ და ნინათი, მარიამ სიმონოვისა, კოტე და ვანო ტყავაძენი; ნუშო ხირსელისა, ოლა ჩახნაევისა და სონა ტყავაძისა; ოლა და ბაბო ტყავაძისანი უღრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ იგარდაცვალებას: პირველნი—მეუღლისა და მამის, მეორე—ძმის, მესამენი—ძმის და მეოთხენი—მაზლის

## გიორგი იასეს ძის ტყავაძისას.

ცხედრის გამოსვენება სამხედრო ჰოსპიტალის სამლოცველოდან ეკლესიაში მოხდება კვირას, ოც იანვარს $8^1/_2$ საათს და ეკლესიიდან სასაფლაოზე $10^1/_2$ საათს. (2—32—2)

## 26 იანვარს 1908 წელს

სამხატვრო საზოგადოების ზალებში

## ქართველ დრამატიულ საზოგადოების ქონების გასაძლიერებლად

გაიმართება **ბ ა ლ ი** გაიმართება

შესვლის ფასი 2 მან. 10 კაპ.

(1—1) დიასახლისი ბალისა ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა.

კაცის, ქალის და ბავშვის დამზადებულ საქონლის მაღაზია

## „ექსელანსი“

(გოლოვინის პროსპ., სახ. მანთაშევისა, ტფ. ლ. საკრებულოს ქვემოდ)

## აუწყებს

ბ-ნთ მყიდველებს, რომ, მოსკოვიდან „ექსელანსი“-ის ამხანაგობის მთავარ გამგეობისაგან მიღებულ განკარგულების თანახმად, 16 იანვრიდან დანიშნულია სეზონის შემდგომი

## იაფობა

ფასები ყველა საქონელზე (კონკურენციის გარეშე) აღნიშნულია კარანდაშით მეორე გვერდზე. ვთხოვთ მკითხველს, თითონ დარწმუნდის სიიაფეში.

## ფასი შეუდარებლად

(3—21—2)

გ ა ი ხ ს ნ ა

## ღურგალთა პროფესიონალური ბიურო

გუბერნატორის მიერ ნება დართული, ბიურო იღებს სადურგლო საქმეებს ხელმისაწვდომ ფასებში ნარდად, ნაჭრობით, და დღიურად. დღიურ მუშის ფასი გაყოფილია ოთხ კატეგორიად. ბიურო უდებს თავდებად ყველა თავის წევრს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო მიღებულია ბიუროს შუამდგომლობით.

ბიუროს ადრესი: მესამე საპოლიციო ნაწილი, რუსისა და ვანქის ქუჩების კუთხე, სახლი სომხურ სემინარიისა ზემო სართული. ბიურო ღია მუდამ დღე დილის 7 საათიდან შუადღის 3 საათამდე. (0—382—25)

## ტფილისის განყოფილება

### სავაჭრო სახლის გრ. ხ. და მ. მელიქ-მარუთიანცისა

აცხადებს, რომ მან ოსმალეთიდან მრავლად მიიღო ცნობილ ფირმების თეთრ-ბაღდადის **აბრეშუმის თესლი**. თესლი იყიდება არსებულ ფასებში.

ადრესი: Тифлисъ, Торг. домъ Бр. Х. и М. Меликъ-Марутянцъ. Сіонская улица. (5—564—5)

## სამშობიარო სახლი

ბებია-ქალის რ. ზ. კრინსკაია. ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 47, ტელეფ. № 646. მიიღებიან მშობიარენი და ფეხმძიმენი ყოველ ჟამს დღისა და ღამის. კარგი მოვლა და მუდმივი საექიმო დახმარება. არის ოთახი საიდუმლოთათვის. პირობები: საზოგადო პალატაში დღე ღამეში 2 მ., მშობიარობა 6 მ. ცალკე ნომერი და გინეკოლოგიური ავადმყოფნი შეთანხმებით. მიღება ავადმყოფთა ქალის ავადმყოფობით და ძიძების გასინჯვა ყოველ დღე ნაშუადღევის $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. (10—11—5)

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა**

კვირას, 20 იანვარს, ვინჩ. კოპპოლას მონაწ. წარმოდგენილი იქნება:

„ტ რ უ ბ ა დ უ რ ი“

ოპერა 4 მოქმედ. ვერდისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი გრინევა, კორსაკოვა-ლიუბინსკაია, მარკოვა; ბ-ნნი გრინევი, კოპპოლა, ბრავდინი, კუზმინი, უზოვი.

დასაწყისი 8 საათზე. კაპელმეისტერი: **გოლინკინი**.

სამშაბათს, 22 იანვ. დაკლებულის ფასებით—„მაზეპა“. მალე ბენეფისი კაპელა გოლინკინისა. (0—38)

კბილის ექიმი

### ალ. ხოლოლაშვილი

ღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ე ქ ი მ ი

### მ. მ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ. უ—00)

ქ. ქუთაისში

### ექიმი ი. ი. ჩარექოვი

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს**. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—დ.—11)

ე ქ ი მ ი

### ვ. ს. მუსხელიშვილი

სღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

### ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე, ვერა ოლღას ქუჩა, № 2 (0—276)

თვალის ექიმი

### ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—554—12)

ე ქ ი მ ი

### ა. ნ. დიასამიძე

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**მდედრობის და ბავშვების**

### სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—32)

კბილის ექიმი

### ბალარჯაშვილი მათეშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საღ. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—518—24)

კბილის ექიმი

### იოსებ ზაქარიას-ძე კანდელაკი

იღებს კბილის სნეულ ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს და ღრძილებს; უღებს უვარგის კბილებს აუტკიებლად, აშორებს პირიდან ცუდ სუნს, უკეთებს პლომბებს ყოველგვარ მასალისაგან და სვამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველგვარ მეტალზე; კაუჩუკზე, პლატინაზე და ოქროზე, აგრეთვე სვამს კბილებს შტიფტებზე უპლასტინკოთ და კბილებს ჭრონცოვურ ლოგანის მეთოდზე, ვორონცოვის ძეგლის ახლოს, რაზიევი ქუჩა № 11 იღებს 9—2 და 4—7. (25—6.—7

ე ქ ი მ ი

### გ. ნ. მაგაკიანი

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვების სნ.** სპეციალური ექიმია **კუჭის და ნაწლავების**. მიღება: დილით 12—1 საათ., საღამოთი 5 6 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. პაპაჯანიძისა. (25—წლ.)

**ქუთაისში**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ქ ა ლ ი

### მ. დ. ნ ა ს ა რ ი ძ ე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

**რიდელი**—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^1/_2$—3 საათ.

**ბანჩევსკი**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.

**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

**აზიანოვი**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. პარასკ. გარდა.

**ოსიპ-ბაზანისა**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.

**ზოგოვსკი**—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.

**გორბაცევიჩი**—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—$1^1/_2$ საათ,

**ანაევი**—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.

**რუდნიცკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ვენკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

**ნევშტროევი**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

**პიკარსკი** — | კლინიკური ანალიზი.
**რუდნიცკი** — |

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—88

## იყიდება

### ღვინისა და არყის სარდაფი

(მ ა დ ა გ ა ლ ი)

მესამე ნაწილში, იარმუკაში, სომეხთა სემინარიის სახლი.

(1—35—1) არუთინ ხანზაროვი.

დილით დილით

ქართული წარმოდგენა № 12.

კვირას, დ ი ლ ი თ 20 იანვარს, 1908 წ.

**გაიმართება იაფ-ფასიანი წარმოდგენა**

წარმოდგენილი იქნება

დენიერის ცნობილი მელოდრამა 7 სურ.

### პარიზის ღატაკნი

**(ბურჟუა და პროლეტარნი)**

მონაწილეობას ღებულობს მთელი დასი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

**დასაწყისი ნაშუადღევის, 12 საათზედ.**

მორიგე წევრი ა. ნანობაშვილი,

(8—3) რეჟისორი ვალერ. გუნია.

### „ილიას დღე ჭიათურაში“

ამ წიგნში მოთავსებულია: ილია ჭავჭავაძის სურათი, ბიოგრაფია, „ვინ არის ილია გლეხთათვის?“ რჩეული ლექსები და პოემა და „გლახის ნაამბობიდან“ დრამა 3 მოქმედებად.

### „ბატონი და ყმა“

გამოცემა ჭიათურის ქართ. დრამატ. საზოგადოებისა. ღირს აბაზად.

იყიდება: „წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში“ და ჭიათურაში ს. ტარუაშვილთან. იქავე იყიდება: „მამა შვილი ანუ გაუბედურებულნი“, დრამა 3 მოქმ., თანამედროვე ცხოვრებიდანა და „დროების კალენდარი“.

აქვე მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „ისარ“-ზე. (10—3)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

### სამკერვალოში

მიიღებენ შესაკერად ქალების და ბავშვების კაბებს. მოწვეულია ახალი, კარგად მცოდნე თავისას ხელობისა. ფასები ფასონისა ხელმისაწვდომია ყველასთვის.

ადრესი: გაბაანთ ქუჩა, № 3, ზარი მესამე. (10—8)

**ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების** გამგეობა აუწყებს თავის წევრებს, რომ წლიური საზოგადო კრება დანიშნულია შაბათს, 2 თებერვალს, 1908 წ. დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა სახლი დ. ზ. სარაჯევისა).

**განსახილველია:**

1. 1907 წლის ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა.
2. პროექტი მომავალ სამუსიკო სასწავლებლის წესდებისა.
3. არჩევა საპატიო და ნამდვილ წევრებისა.
4. არჩევა გამგეობის შვიდ წევრისა და მათის კანდიდატებისა.
5. მორევიზიე სამი წევრის არჩევა.

**შენიშვნა.** გამგეობა უმორჩილესადა სთხოვს პატივცემულ წევრებს, ვისაც წარსულის წლის საწევრო ფული არ შემოუტანია, შემოიტანოს საზოგადო კრების დღეს, 2 თებერვალს. (8—1)

## ტფილისი, 20 იანვარი.

შემოდგომის მიწურული იყო. ზამთარი იწყებოდა. შიმშილობას ველოდდით. შიშის ჟრუანტელი გვივლიდა. ქართველი გლეხის კიდობანი პურისაგან დაცლილიყო. ყველანი კარზე მომდგარ დიდს უბედურებაზედ ვლაპარაკობდით. კორესპონდენტები სოფლიდან საშინელს ამბებს იწერებოდნენ. ზოგი სოფლიდან გლეხები გაზეთის საშუალებით კოლლექტიურად მოიწოდებდნენ ქართველ საზოგადოების შეძლებულ ნაწილს დახმარებისათვის. პრესსა ენერგიულად აღნიშნავდა, რა დიდი ენერგიის განვითარება იყო საჭირო დიდი განსაცდელის ასატანად.

ეხლა ზამთარია. შიმშილმა უკვე დაუნდობლად გაშალა ბასრიანი კლანჭები. იგი მომავალი უბედურება აღარ არის, აღარც კარზედ მომდგარი განსაცდელია. იგი უკვე განხორციელებული უბედურებაა, გლეხის ქოხში შეჭრილი, იმისი სხეულის მღრღნელი, სიკვდილის დამამყარებელი... დიაღ, შიმშილობა მომავალი აღარაა, უკვე დამდგარია, მაგრამ ამ საგანზე ეხლა ყველანი სდუმან. სდუმან კორესპონდენტები, სდუმან თვით დამშეულები, სდუმს პრესსა, სდუმს საზოგადოების შეძლებული ნაწილი, სდუმს „საქველ-მოქმედო საზოგადოება“. იქნება, ეს მდუმარება შიმშილობის არ ყოფნას ამტკიცებდეს, ან დამშეულების გაძღომას ციდან ჩამონაყარ მანანით?—ო, რა თავისუფლად სუნთქავს გული ამ ოცნების ელვარებაზე! მაგრამ ეს ოცნებაა, ფუჭი, უშინაარსო ოცნებაა. სინამდვილე კი შიმშილისაგან ჩონჩხად ქცეული და ლონე მიხდილს კვნესაც კი აღარ შეუძლიან... სძინავს დამშეულს ხალხს, სძინავს გადამეტებულის შიმშილისაგან, ირგვლივ მყუდროება ისადგურებს, მაგრამ არა კმაყოფილების, არამედ სამარის მყუდროება... გესმის, მკითხველო, ამ მყუდროებაში მოხეტიალე უხმო ხმაურობა, უკვნესო ტანჯვა, უცრემლო ტირილი, უიმედო სასოწარკვეთილება?

ქართველი ხალხის შეძლებულ და შეუძლებელ ნაწილის შუა ხიდი დიდი ხნის ჩატეხილია. ჩვენებური გლეხისაგან გაგვიგონია, ხელმარჯვნივ მიწა თავადისაა, ხელმარცხნივ ქართველებისაო. ჩვენებური გლეხი ამ თქმით შეგნებულად უპირდაპირებს ერთმანეთს ქართველი ხალხის შეძლებულს და შეუძლებელს ნაწილს, უპირდაპირებს და თან დასძენს, მათ შორის არაფერი საერთო არაა, ერთი თავადია, მეორე კი ქართველიაო. ჩაუკვირდით ამ ფაქტს, ძლიერნო ამა ქვეყნისანო, ჩაუკვირდით ღრმად და გაითვალისწინეთ, რა შორს ყოფილხართ გადმოსროლილნი თქვენ ერის სხეულისაგან! ჩაუკვირდით ამავე ფაქტს, ქართველო ინტელიგენტებო, და იფიქრეთ თქვენს მომავალზე! იფიქრეთ, რადგან მცონარეობა და ფრაზეოლოგია თქვენ

იმავე მომავალს გაგიმზადებთ, რაც უკვე აკუთვნა ისტორიამ ქართველ თავადებს! იფიქრეთ, რადგან თქვენსა და ხალხს შორისაც ისევე ღრმად შეიძლება ჩატყდეს ხიდი, როგორც ჩატეხილია გლეხისა და თივადის შუა.

არ მოგწონთ ჩატეხილ ხიდის სურათი? ვიცი, რომ არ მოგწონთ; ვიცი, რომ გულწრფელად გეთაკილებათ ხიდის ჩატეხვა. მაგრამ რატომ თქვენი სამარცხვინო მცონარეობა არ გეთაკილებათ, რატომ თქვენი მომაკვდინებელი ინდიფერენტიზმი არ გეზიზღებათ, რატომ სარევოლიუციო ფრაზებით დათრობა და სიტყვათა შადრევანის ეშხით ბურანში გახვევა არ გეუკადრისებათ? რატომ ამჯობინებთ ან უსაქმურობას, ან ფრაზეოლოგობას, ან პესსიმისტობას—ცხოველმყოფელ საქმიანობას, პრაქტიკულ საქმიანობას?

იქნება, ჩვენი სიტყვა გულში მოგხვდეთ და იმწვიტინოთ! ნუ გასცხარდებით, ბრაზს ნუ მოიკიდებთ. აბა თითებზე დაითვალეთ, რამდენი ჭეშმარიტი და ერთგული სოფლის მასწავლებელი გამოსულა თქვენი წრიდან, აბა მოიგონეთ, რამდენ დიპლომიან ექიმს გაუწირავს თავი ნებაყოფლობით დიდრონ ქალაქებისთვის და დასახლებულა სოფელში უმწეო გლეხობის მალამოდ გადასაქცევად; აბა მოისაზრეთ, თუ სადმე სოფელში იაფფასიანი სასადილო გაგემართოთ დამშეულ ხალხისსთვის; აბა სთქვით გულახდილად, თუ ცნობები შეკიგროვებიათ ეხლანდელ შიმშილობის გასაზომავად; აბა უარჰყავით, რომ უქმად არა დევს „საქველმოქმედო საზოგადოების“ კასაში ოცი ათასამდე მანათი, ხალხის დასახმარებლად მოგროვილი და შექურჩებული; აბა სთქვით, თუ ერთი ნაბიჯი მაინც გადაგიდგამთ დამხმარე ხელის მისაწვდენად დამშეულ ხალხისთვის. რა საჭიროა ამ საბრალმდებლო ოქმის გაგრძელება? ბრალმდებელი დამშეული ხალხია, მოსამართლე კი—ისტორია... გეშინოდეთ ამ მოსამართლისა, იგი სასტიკია და ულმობელი! თქვენ, მცონარე და ფრაზების ნამსხვერპლო ინტელიგენტებო, იგი ისტორია საშინელს განაჩენს წაგიკითხავთ, რძლიერესს სასჯელს გაგიწესებთ, დიად უძლიერესს, რადგან ყველაზე სასტიკი სასჯელი გაძევებაა. მაშ გახსოვდეთ, რომ გაძევება მოგელით ერის სხეულიდან, ისეთივე გაძევება, როგორიც განიცადეს საქართველოს თავადებმა და აზნაურებმა იყავით ფრთხილად და ერიდეთ საფრთხეს.

არ ყოფილა მაგალითი, რომ მცონარეობით ან ფრაზების ჩმახვით ვინმე ან სადმე ქვეყანა აეშენებიოს. ვერც თქვენ ააშენებთ, ქართველო ინტელიგენტებო, ამ გზით ქვეყანას სადაც საქმე და მოქმედებაა საჭირო, იქ ფრაზა და ზარმაცად მხარ-თეძოზე გორაობა ფონს ვერ გაგიყვანთ.

ქვეყანა შიმშილს განიცდის. ჩივილით კი არავინ გიჩივით. ეს საშინელების მომასწავებელი მდუმარებაა. იგი თქვენი „ღვაწლის“ დავიწყება არ არის, პირიქით, იმისი დაფასებაა. ჩაიბეჭდეთ გონებაში, რომ რასაც სთესთ, იმასვე მოიმკით.

## შიმშილი ახლოვდება

(წერილი ქართლიდან)

შეუბრალებელი შიმშილი თან და თან გვიახლოვდება, ცხოვრება კი თავისას თხოულობს.

სარჩო ბევრს აკლია; შემოდგომაზედვე სარჩოს ყიდვას შეუდგნენ. ვისაც შეძლება აქვს, იმას კიდევ არა უშავს რა, შინაურ საქონელის ჰყიდის და სამაგიეროდ სარჩოს ჰყიდულობს, იოლად გამოვა ახალ მოსავლამდის.

ვისაც არა აბადია რა, იმან რა ჰქნას? ვის მიმართოს? ისეთი ულმობელი რამ გახდა ადამიანი, კიდევაც რომ ჰქონდეს, არ გაუკითხავს.

და ვაი იმას, ვისაც არა აბადია რა!

ვისაც ზედ მეტი სარჩო დაესწრო, ისიც არ აჩენს, იმედი აქვს, გაზაფხულზედ მეტ-ფასად გაჰყიდის, იმას, რასაკვირველია, არა ნაღვლობს, რომ მეზობლის ცოლ-შვილი შიმშილს განიცდის.

კოდ სიმინდში ოთხ მანეთს იძლევიან. გამყიდველი არავინაა; პურს არავინ ჰკითხულობს: ჯერ ერთი—ვერავინ შესწვდება იმის ფასს, მეორეც—პური სიმინდზედ ნაკლებ ეფარება გლეხებს.

სიმინდი, ვისაც ნაგვიანევად მოუვიდა, შემოდგომაზედ ვერ გახმა და ძარებში ნედლი ჩაჰყარეს. ათში თითქმის ორი თუ გამოირჩევა, სხვას ყველას წაუხდა.

ოთხ-ფეხი საქონელი, რადგან საკვები არავისა აქვს, ნეკერზედ დაუდით. საუბედუროდ, იმოდენა თოვლი ჩამოჰყარა, რომ საქონელი ტყეში ვეღარ დაიარება ნეკერზედ, შიმშილისაგან ლას-ლასი გააქვს.

ამ დღეებში ჩემთან შემოვიდა სოფ. საყარაულოდან ერთი ხიზანი—ოსი: გამხდარი, ტანზედ გახეხილი ფარაჯა ეცვა, ძლივს ახერხებდა სიტყვების თქმას.

— უნდა მიშველოთ რამე თქვენი ცოლშვილის სადღეგრძელოდ!

— რა ამბავია, რა გაგჭირებია?—ვკითხე.

— ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება, ველარსად გავხდი ღონეს და, გთხოვთ, „პოსლენიკ“-ან“ თხოვნა დამიწეროთ, რომ მთავრობას შეატყობინოს ჩემი გაჭირვება; აღარაფერი ცხოველი მყავს, საქონელი იქავე შემოდგომაზედ გავყიდე, ზოგი ვალში და ზოგიც სარჩოსთვის წავიდა. წვრილ-ფეხი სრულებით არ გაგვაჩნია, ჩვენს ქოხში ქათამი არ კაკანებს, ოთხ-კედელ-შუა ვართ გამომწყვდეული ამ ვერანა ზამთარში, შეშაც ზურგით მომაქვს; მოხუცებული დედ-მამა დაწანწალებენ მოყვრებსა და ნათესავებში გამოსაკვებად. მეც თითო ჩანახშით ვთხოულობ მეზობლებში. იმათაც მოსწყინდათ ჩემი გამოკვება, სახლში დაბრუნებისას პატარები შემომეხვევიან და მოჩხავიან: პური არ მოგვიტანე, გვშიან, მამილოო. მეც, მათი შემყურე, ლამის გავგიჟდე. ამ დღეებში ერთი ჩანახი სიმინდის საძებნელად დავდიოდი მეზობელ სოფლებში. ვიშოვე, როგორც იყო, გზაში მომ-სწრო ქარ-ბუქმა, მეზობლები წამომეშველნენ და სიკვდილს გადამარჩინეს. ან რა სიცოცხლეა ეს ჩემი სიცოცხლე? ღარ შემიძლიან. გთხოვთ ამ გაჭირვებისაგან დამიხსნათო!

ასე შეწუხებულის ხმით დაამოლოვა საწყალმა. და ასეთი გაჭირვებული ქართლში ათი ათასობითაა.

Legatus.

## მოსკოვის თავისუფალი სკოლა *)

«ბავშვების ზნეობრივი აღზრდა კეთილ მაგალითზეა დამყარებული. იცხოვრეთ კეთილად, ან ეცადეთ კეთილად იცხოვროთ და მხოლოდ მაშინ შეგიძლიანთ ბავშვებიც კეთილად აღზარდოთ. დღევანდელს აღზრდა-განათლების მეცნიერება კი იმას გვასწავლის, თუ როგორ უნდა აღზარდოს ბავშვები კეთილად იმ ადამიანმა, რომელიც თვითონ გლახად სცხოვრობს».

ლევ ტოლსტოის მიერ გამოთქმული ეს ღრმა-აზრიანი მცნება საფუძვლად დაედო მოსკოვის თავისუფალ სკოლას.

იქ შედგა პატარა წრე თანამოაზრე კაცებისა, რომელთაც გადასწყვიტეს არ ჩაუგდონ ბავშვები ხელში მთავრობის სკოლას. მთავრობა ისე ზრდის ბავშვებს, როგორც თვით მასა სურს, სცდილობს თავისდა სასარგებლო კაცებად გამოიყვანოს ისინი ცხოვრებაში; თავისუფალ სკოლის მეთაურების წადილია—ბავშვები ადამიანურად აღზარდოს და კაცობრიობის სასარგებლო წევრებად გადააქციოს.

მოსკოვის თავისუფალ სკოლის მეთაურებმა თავიანთი ცდა საურთიერთო დახმარებაზე დაამყარეს, ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ და სრულებით ახალ, ორიგინალურ საქმეს მოჰკიდეს ხელი. მეთაურების მტკიცე რწმენის თანახმად სკოლა ისეთი ადგილია, რომელიც თავის თავად, ადამანტივით უნდა იზიდავდეს ბავშვს. ბავშვი სკოლაში ისე უნდა ჰგრძნობდეს თავს, როგორც საკუთარ ოჯახში. მეთაურები ამხანაგებად ამოუდგებიან ბავშვებს გვერდში. ყველა საქმეებში ბავშვებს მოზრდილებთან თანასწორი ხმა ექნებათ. ბრძანებლობა განდევნილი იქნება ამ სკოლიდან, მოზრდილებმა მხოლოდ თავისუფალი ხელმძღვანელობა უნდა იკისრონ, მთელი თავიანთი ცოდნა, გამოცდილება და გამჭრიახობა თავისუფალის ნება-ყოფლობით უნდა მოახმარონ ბავშვების ფიზიკურ და სულიერ განვითარებას. ახალ სკოლის მეთაურებმა მოწოდებით მიმართეს მოსკოვის საზოგადოებას, რადგან სურდათ ამ საქმეში მოზიარეების და თანამოაზრეების მოპოვება და იპოვეს კიდევაც.

1 ოქტომბერს 1906 წელს გაიხსნა მოსკოვში ახალი სკოლა. ერთი უდიდესი ოთახი ბავშვების სათამაშოდ მოაწყეს. მეორე ოთახში გაიმართა სადურგლო განყოფილება, მესამე—მცენარეების შესასწავლად მოაწყეს, მეოთხე—ხატვა-ხაზვა და ქანდაკებისათვის და სხ. სამზარეულოში საუზმეს ამზადებენ თვით ბავშვების დედები მოწაფეების დახმარებით. სუფრის გაშლა და მოწყობა, ოთახების დაგვა-დალაგება, ჭურჭლის რეცხა და სხვა შ ვი საოჯახო მუშაობა თანასწორად დაეკისრა ბავშვებსა და თვით სკოლის მეთაურებს, რომელთა მტკიცე რწმენით მოხამსახურეების ყოლა, ეს იგი მონური მუშაობა, უნდა განიდევნოს ახალ სკოლიდან. სხვა და სხვა ხელობის სწავლების გარდა, სკოლაში დრო-გამოშვებით იმართება კითხვები მწერლობასა, გეოგრაფიასა და ბუნების მეცნიერებაზე, ასწავლიან ანგარიშს, წერა-კითხვას და უცხო ენებს.

მ რითადი პრინციპი, ახალ თავისუფალ სკოლის საფუძვლად დადებული, ბავშვებზე ძალ-დაუტანებლობაა. ბავშვები თავიანთ სურვილის თანახმად ირჩევენ ამა თუ იმ საგანს შესასწავლად. სკოლის კედლებზე გაკრულია განცხადება, სადაც სწერია, რა დროს ვინ რა საგანს ასწავლის. არჩევა საგნისა და მასწავლებლისა თვით ბავშვებზეა დამოკიდებული.

მკითხველებს, რასაკვირველია, ეგონებათ ასეთი არა-ჩვეულებრივი, პირველის შეხედვით რაღაც ახირებული წესი, მაგრამ ცოტათი რომ დაუფიქრდებიან, უეჭველად ამ პრინციპში დაცულ ღრმა აზრს აღმოაჩენენ. ადამიანი მხოლოდ ისეთ ცოდნას ითვისებს და ისისხლხორცებს ხოლმე, რომელსაც ხალისით, ნება-ყოფლობით ეკიდება. ამ მხრივ სულიერი საკვები სხეულის საკვებს ემსგავსება. როგორც სხეული ნივთიერ საკვებს თავისუფალის მეთვისებით აკლავს შიმშილს, ისე სულიერ შიმშილს დაკმაყოფილება თავისუფალ, ძალ-დაუტანებელ სულიერ საკვების მეთვისებით უნდა სწარმოებდეს. კინც თავის პირად ცხოვრებას დაუფიქრდება, დაგვეთანხმება, რომ მტკიცედ მხოლოდ ის ცოდნა აქვს შეთვისებული, რომელსაც ხალისით მოეკიდა, თავის პირად სურვილით აირჩია.

მოსკოვის ახალ სკოლაში შემოღებულ ამგვარ თავისუფალ წესს ის შედეგი მოჰყვა, რომ ბავშვები თავიანთ სურვილის თანახმად მხოლოდ იმ მასწავლებლებთან მიეშურებიან, რომელთაც მიმზიდველი ძალა აქვთ, ხაზნის ცოცხლად გადაცემა შეუძლიანთ, ხალისის აღმძვრელი სწავლების უნარი ემჩნევათ. მასწავლებელნიც თავისუფლად სარგებლობენ—სრული უფლება აქვთ, რა საგანიც სურთ, ის აირჩიონ ბავშვების სწავლებისათვის.

სკოლის გამგე ორგანო მოსწავლებისა და მშობლების შეერთებული კრებაა, რომელიც კვირაში ერთხელ იმართება. ამ კრებებზე აზრების ცოცხალი გაზიარებაა სწავლების სხვა და სხვა საკითხის შესახებ. აღმასრულებელ ორგანოს საქმეს კი ასრულებს მეთაურების და მშობლების მიერ არჩეული პედაგოგიური ბიურო, რომელიც აწესებს მორიგეობას, იღებს ახალ წევრებს—ბავშვებსა და ხელმძღვანელებს, თვალ-ყურს ადევნებს სკოლაში ძირითად პრინციპების განხორციელებას და სხ.

ხელმძღვანელთა კრებების დადგენილებებს არავითარი სავალდებულო ხასიათი არა აქვს: მხოლოდ ზნეობრივად ევალებათ წევრებს, რომელნიც თავისუფალ მეთანხმებით აწარმოებდენ საქმეს; ის პირნი კი, რომელთაც სკოლის პრინციპები არ აკმაყოფილებთ, თავიანთ ნებით შორდებიან საერთო საქმეს. ხელმძღვანელებს შორის წესადაა მიღებული გულახდილობა, გულწრფელობა, ერთ-ურთის ნაკლის გამოაშკარავება, ერთმანეთის მოღვაწეობის განსჯა-კრიტიკა: მათის რწმენის თანახმად არ შეუძლიან ბავშვების აღზრდა იმ ადამიანს, რომელიც თავის თავს არა ზრდის, საკუთარი ზნეობრივი განვითარება-გაუმჯობესობა არა აქვს მიზნად აღიარებული.

ახლად მიღებულმა ძმურ-ამხანაგურმა პრინციპმა ცოცხალი სული ჩაუდგა მოსკოვის თავისუფალ სკოლას: მოსწავლებსა, ხელმძღვანელებსა და მოწესეებს შორის დამკვიდრდა ოჯახური კავშირი, ერთურთისადმი ნდობა და თანასწორობა, რომლის წყაროდ გახდა—ერთი რწმენა და მისწრაფება, საერთო იდეალი.

ვინც ბავშვების აღზრდა-განლებას თვალყურს ადევნებს, უყვარს ეს საგანი და ჰგრძნობს იმის დიად მნიშვნელობას, გაიცნობს რა ამ ასპარეზზე ახალ რეფორმის განვითარებას, უეჭველია იგრძნობს, რომ აქ თავს იჩენს ცხოვრებაში სრულიად ახალ, ცხოვრების ნამდვილი განმაახლებელი, სახელმწიფოს ბრჭყალებიდან ჭეშმარიტად განმათავისუფლებელი მოძრაობა. ახალი სკოლა მოახლოვებულ გაზაფ-

*) ახალის სკოლის ასაწერად ვიხელმძღვანელე ფრიად საყურადღებო ახალ ჟურნალით, რომელიც მოსკოვში გამოდის ცნობილ მწერლისა და მოღვაწის გორბუნოვ-პოსადოვის რედაქტორობით. ჟურნალს სახელად ჰქვიან „Свободное воспитаніе“. იმისი დედა-აზრია ახალ სკოლის საფუძვლების გამორკვევა და ევროპაში ამ საყურადღებო რეფორმის კვალ-და-კვალ აღნიშვნა და აწერა. ჟურნალი ყველასათვის ხელმისაწვდომია. წლიურად ღირს 3 მან., სოფლის მასწავლებლისათვის კი 2 მან. გაგზავნით ადრესს: Москва, Трубецкой переулокъ. издательство „Посредникъ“. ფასის შეტანა ორ წილად შეიძლება.

## ფელეტონი

### მოლოდინში

დე, დაიტაკნენ სვავები,
ქანდარა ერთ-ურთ ალეწონ;
მითვისებული უფლება
ცოდვილის ფეხით გალეწონ!
დე, ზარბაზნებმა დასჭექონ,
თოფებმა იწყონ გრიალი;
სისხლით ნალებმა დროშებმა
ბრძოლისთვის იწყონ ფრიალი!
მონამ მონას ჰკრას ლახვარი,
სისხლმა დაიწყოს თქრიალი;
აზვირთდეს, ტალღამ წალეკოს
ბატონთ დიდება ხნიანი!
იქნებ მათ ძვლებზე აშენდეს
თავისუფლების ტაძარი;
ზღვა აბობოქრდეს, წალეკოს
არსი ყოველი მზაკვარი!
იქნება შარი ხეირად
გადექცეს ჩაგრულ მხარესა;
შავად მჩრდილავი ღრუბელი
მოსხლტეს მზესა და მთვარესა!
სცნოს განთიადი მოძღვარმა,
ზარი ცისკრისა დარეკოს;
ანგელოზთ ნაცვლად მოსულნი
ეშმაკნი ტაძრით გარეკოს...

მუშა.

## მოთხრობა

რომელიც არას დროს არ დამთავრდება

ლეონიდ ანდრეევისა

(საფრანგეთის ცხოვრებიდან)

მთელის დღის შიშ მომგვრელ გამოურკვევლობით მოდალულ-მოქანცული, გაუხდელი მივწექი ლოგინზე. ის იყო ჩამეძინა, რომ ცოლმა გამომაღვიძა. ხელში სანთელი უკრთოდა. დამის წყვდიადში იგი მზესავით გაბრწყინებული მეჩვენა. სანთლის იქით მოსჩანდა გაფითრებული ნიკაპი, უძრავად გამოიცქირებოდა ვეებერთელა შავი და ჯერ ჩემთვის უცნობი თვალები.

— იცი,—მითხრა მან,—იცი, ჩვენ ქუჩაზედ ბარრიკადებს აშენებენ...

სიჩუმე იყო. ერიმანეთს გაშტერებულნი შევცქეროდით. ვგრძნობდი, როგორ მიფითრდებოდა სახე. სიცოცხლე სადღაც გადაეფარა და ხელახლა დაბრუნდა გულიდან ძლიერის ამონახეთქით. სიჩუმე იყო და სინათლის ალი კრთოდა; იგი იყო პატარა და ბასრი, როგორც ხმალი.

— არ გეშინიან?—შევეკითხე.

ნიკაპი შეუკრდა, მაგრამ თვალები გაუნძრევლად დარჩა. იგი დაუხამხამებლად შემომცქეროდა. მხოლოდ ეხლა შევამჩნიე, რომ ეს თვალები ჩემთვის რაღაც უცნობი და უცნაური იყო. სრული ათი წელიწადი ვუცქეროდი და ვიცნობდი უკეთ, ვიდრე ჩემს საკუთარ თვალებს, მაგრამ ეხლა ამ თვალებში რაღაც ახალი იყო, რისთვისაც სახელი ვერ გამომეგონა. სიამაყე—ასე ვუწოდებდი, მაგრამ არა, იქ იყო რაღაც სხვა, ახალი, სრულიად ახალი.

ხელი დავუჭირე: მთლად გაციებულმა ხელისავე მძლავრის მოჭერით მიპასუხა, და ამაშიაც რაღაცა ახალი იყო, რაც მე არ ვიცოდი. ასე ძლიერ ჩემი ხელი არასოდეს არ ჩაუჭუჭნია.

— დიდიხანია?—დავეკითხე.

— უკვე მთელი საათია. შენი ძმა კიდეც წავიდა. მას, უეჭველია, ეშინოდა, რომ შენ არ გაუშვებდი და ჩუმად გაიპარა. მე მაინც შევამჩნიე.

მაშ სინამდვილეა—დადგა იგი დრო. ავდექი და დიდხანს პირს ვიბანდი, როგორც დილით, როცა სამუშაოდ მივდიოდი, ჩემი ცოლი სანთელს მინათებდა. შემდეგ სანთელი ჩავაქრეთ და გავეშურეთ ქუჩის პირა ფანჯრისაკენ.

გაზაფხული იყო, მაისის თვე და გაღებულ ფანჯრიდან ისეთი ჰაერი გვეცა, რომლის მსგავსი ძველს ქალაქში არას დროს არა ყოფილა. რამდენიმე დღე გავიდა, რაც ქარხნები და გზები აღარ მუშაობდა. და ნახშირის კომლისაგან განთავისუფლებული ჰაერი გაიჟღინთა მინდვრებისა და აყვავებულ-ბაღების სუნით, იქნება ცვარითაც. არ იყო არც სინათლე, აღარც ეტლის კრინტი არ იძვროდა გადაწვდენილ გაქვავებულ სივრცეზედ. კაცს რომ თვალები დაეხუჭა, ეგონებოდა სოფელშიაო აი, მოისმა ძაღლის ყეფა! წინად არც ერთხელ არ გამეგონა ქალაქში ძაღლის ყეფა, თავი ბედნიერად ვიგრძენ და გამეცინა.

— ყური დაუგდე—ძაღლი!..

ცოლი მომეხვია და მითხრა:

— იქ კუთხეშია.

ფანჯარაში გადავიხარეთ და იქ, შავ სიღრმეში დავინახეთ რაღაც მოძრაობა. ადამიანები კი არა, მოძრაობა: რაღაცას მტვრევდნენ, რაღაცას აშენებდნენ. ვიღაც მოძრაობდა, უხილავი, როგორც აჩრდილი. უცბად რაღამაც დაიგრახუნა—ცულმა თუ ჩაქუჩმა, კრიალით, მხიარულად, როგორც ტყეში, როგორც მდინარეზედ, როცა ნავს აკეთებენ ან ყურეს აშენებენ.

წინასწარგრძნობით აღვსილი მძლავრად მოვეხვიე ცოლს, ის კი სახლებს ზემოდ სახურავების თავზე გასცქეროდა, შესცქეროდა ახალს, სასტიკს მთვარეს, რომელიც უკვე ჩასასვლელად გადახრილიყო. ახალგაზრდა და სასაცილო იყო, როგორც მეოცნებე ყმაწვილი ქალი, რომელსაც ეშინიან გაუზიაროს სხვას, თავისი ოცნებანი და ანდობს მხოლოდ თავის თავისთვის.

— როდესაც ის დასრულდება...

— ნუ, ნუ!—გამაწყვეტინა ცოლმა გაუგებარი შიშით.—ნურას ამბობ იმაზე, თუ რა იქნება. რა საჭიროა? სიტყვებისა ეშინიან. იქით წავიდეთ.

ოთახში ბნელოდა. დიდხან ვდუმდით, ისე რომ ერთმანეთს ვერც კი ვამჩნევდით, მაგრამ ერთსა და იმავეზე კი ვფიქრობდით. როდესაც ხმა ამოვიღე, ისე მომეჩვენა, თითქოს სხვა ლაპარაკობდა.

— მაშ როგორ?—ვკითხე.

— ისინი?

— შენ იმათთან დარჩები, დედაც საკმაოა, მე კი არ შემიძლიან.

— მე კი შემიძლიან?

ვიცოდი, იგი ადგილიდან არ დაძრულა, მაგრამ ცხადად ვიგრძენ, რომ მიდიოდა, უკვე შორს იყო, შორს. უცბად საცივე ვიგრძენ და ხელები გავუწოდე, მაგრამ იგი მოერიდა.

— ადამიანი ასს წელიწადში ერთხელ ძლივს ეღირსება ხოლმე დღესასწაულს და შენ გინდა, ისიც წამართვა. რადა? სთქვა მან.

— შეიძლება მოგკლან. ჩვენი ბავშვები დაიღუპებიან.

— ცხოვრება ლმობიერად მომეპყრობა. თუნდაც დაიღუპნენ...

ამას ამბობდა ის, ჩემი ცოლი, დედაკაცი, რომელთანაც ათი წელიწადი ვიცხოვრე! ჯერ კიდევ გუშინ შვილის გარდა არა ახსოვდარა, მხოლოდ იმათ ზრუნვაში იყო; ჯერ კიდევ გუშინ შიშით შესცქეროდა მკაცრ ნიშნებს მომავლისას. რა დაემართა? გუშინ—მაგრამ მეც ხომ დამავიწყდა ყოველივე, რასაც გუშინა ვგრძნობდი.

— შენ გინდა ჩემთან წამოხვიდე?

— ნუ სჯავრობ!—იმას ეგონა, ვჯავრობდი—ნუ სჯავრობ! დღეს როცა იქ ხმაურობა დაიწყეს და შენც ის იყო ადექი, მივხვდი, უცბად შევიგნე, რომ ქმარი, შვილები, ყველა ეს—ისე, ყველა ეს დროებითია. მიყვარხარ ძლიერ. მან მოძებნა ჩემი ხელი და მაგრა ჩასჭიდა:—მაგრამ ხომ გესმის, ხმაურობენ? არახუნებენ და თითქოს ინგრევა, ინგრევა რაღაც კედლები. მერე რა რიგი ხალვათობაა, რა სიფართოვეა, რა ლაღობაა! ეხლა ღამეა, მე კი მგონია, მზე ბრწყინავს. მე ოცდა-ათის წლისა ვარ და უკვე მოხუცი, მე ისე მგონია, თითქო ჩვიდმეტის წლისა ვიყო. მიყვარს ვიღაცა პირველის სიყვარულით, დიდის, განუსაზღვრელის სიყვარულით!

— რა დამემართა!—დავსძინე მე—თითქოს ქალაქი არ არსებობდეს. მართლა, მეც დამავიწყდა ჩემი წლოვანება.

— არახუნებენ, თითქოს მუსიკააო, სიმღერა, რომელზედაც მთელი ჩემი სიცოცხლე ვოცნებობდი. როდი ვიცოდი, ვინ მიყვარდა ისეთის უზომო სიყვარულით, რომელიც მაწყურებს ტირილსაც, სიცილსაც და სიმღერასაც. რა სილაღეა, რა ხალვათობაა—ნუ მწირავ ბედნიერებას, დეე მოვკვდე იმათთან, ვინც მუშაობს იქ, გაბედულად მოუწოდებს მომავალს და საფლავებში აღვიძებს დაღუპულ წარსულს...

— დრო არ არის.

— რას ამბობ?

— დრო არ არის. ვინა ხარ შენ? მე შენ ვერ გცნობდი. ადამიანი ხარ?

მან ისეთი წკრიალა ხმით გაიცინა, თითქო მართლა ჩვიდმეტის წლისა ყოფილიყო.

— მე ხომ ეგ არ ვიცოდი. შენც ადამიანი ხარ? რა უცნაურია ყველა ეს და რა ლამაზი: ადამიანი.

ზულის მერცხალია, კაცობრიობის მომავალ თავისუფალ წყობილების განთიადი და წინამორბედი. **ილია ნაკაშიძე.**

# ახალი ამბავი

◆ **ჩამოხრჩობა.** გუშინ, დილის 7 საათზე, ნავთლუღში სისრულეში მოიყვანეს სამხედრო-საოლქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დახვრეტა ჰქონდა გადაწყვეტილი ვასილ ბიძინაშვილს. ბიძინაშვილს ჰბრალდებოდა თავდასხმა და მოკვლა ენფიანჯიანცის ქარხნის მეირტელეს სიმონ გაგლოევისა.

◆ **საიდუმლო სტამბა და ყუმბარები ქუთაისში.** ქუთაისში ორპირის ქუჩაზე აღმოუჩენიათ მშვენივრად მოწყობილი საიდუმლო სტამბა. მრავლად უნახავთ რუსული და ქართული შრიფტი და აღკრძალული ლიტერატურა. იქვე უნახავთ ექვსი გაუტენავი ყუმბარა, გასატენი მასალა, პატრონები, ხანჯლები და სხვა იარაღი.

◆ **ყალბი ათ-თუმნიანები.** 19 იანვარს გათენებისას თევზიევის სახლში ორჯონიკიძის ბინაზე პოლიციამ აღმოაჩინა მშვენივრად მოწყობილი სახელოსნო ათთუმნიანების დასამზადებლად. უკვე დამზადებული უნახავთ ნახევარ მილიონზე მეტი. არიან დაპატიმრებული.

◆ **კაცის მოკვლა სატუსაღოში** 18 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზე, ტფ. საგუბერნიო საპატიმროს ფეხის ადგილში სასიკვდილოდ დაჭრილი ნახეს ლევან საკოვი, რომელიც ზაქათალის ოლქის უფროსის განკარგულებით თავის სამშობლოში უნდა გაეგზავნათ ვინაობის გამორკვევად. საკოვი იმავე დღეს გარდაიცვალა. ეჭვი მიიტანეს პატიმარ ალექსანდრე ბერიქანოვზე. გამოძიებას შეუდგნენ.

◆ **მკვლელობა.** 18 იანვარს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, ნიკოლოზის ქუჩით მინავლებულა ტფილისში მცხოვრები ივანე გვარამაძე. „იტალიის" სასტუმროს პირდაპირ გვარამაძეს თავს დასცემიან ვიღაცეები, ექვსჯერ დაუხლიათ რევოლვერი და იქვე მოუკლავთ. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს. მოკლულს ჯიბეში აღმოაჩნდა რევოლვერი. მიზეზი მკვლელობისა არ არის გამორკვეული.

◆ **შემთხვევით დაჭრილი.** 18 იანვარს ოლგას ქუჩაზე მდგომ უბნის ზედამხედველს ვიღაც კაცმა რევოლვერი ესროლა, მაგრამ ააცდინა. ტყვია მოხვდა შემთხვევით გამვლელს ევგენი მიშინს. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს. მსროლელი მიიმალა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში, ლექციას წაიკითხავენ ს. ბაგდატიევი და ე. თოფჩიანი. თოფჩიანი სომხურად წაიკითხავს კოოპერაციების შესახებ, ხოლო ბაგდატიევი რუსულად: „დამოკიდებულება პიროვნებისა საზოგადოებასთან". სომხური დაიწყება 11 საათზე, რუსული პირველის ნახევარზე.

◆ **რკინის გზის მოხელეთა საქმე.** რკინის გზის სამმართველოს 30 მოხელის საქმე ჯერ არ გათავებულა. 18 იანვრამდე პალატამ მოასწრო ბრალმდებლის მიერ დაპარებულ მოწმეთა გამოკითხვა; ამ დღიდან ბრალდებულთა მიერ გამოწვეულ მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევას შეუდგნენ. გარჩევა კიდევ რამდენსამე დღეს გასტანს.

◆ **უფასო სახალხო კითხვები.** სამკითხველო საზოგადოებაში, პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკაში დღეს ლექციებს წაიკითხავენ ქართულად ბავშვებისთვის: „სენ ბერნარის ძაღლები"—წაიკითხავს მასწავლებელი სეხნიაშვილი; „ამერიკის აღმოჩენა კოლუმბის მიერ"—წაიკით. მასწავლებელი ქალი მუსხელიშვილი; „ამერიკაში მოგზაურობა და იქაური შესანიშნავი ადგილები"—წაიკ. მასწავ. სეხნიაშვილი. ლექციების კითხვის დროს აჩვენებენ ბუნდოვან სურათებს. შესვლა უფასოა. ლექციები დაიწყება ნაშუადღევის 5 საათზე. იქვე 6 საათზე ექიმი ლ. ოჰანჯანოვი წაიკითხავს ლექციას—„ვენერიული ავადმყოფობანი" (გაგრძელება წინანდელ ლექციისა).

◆ **ილია ჭავჭავაძის ფონდი.** ტფილისის ქალთა წრეს მოუვიდა ცნობა, რომ ქ. ახალ ციხეში ილია ჭავჭავაძის სახელობაზე დარსებულ ფონდის გასაძლიერებლად აირჩიეს მუდმივი მომქმედი კომისია. კომისიის წევრებად არიან: ნინო ქიქოძისა (თავჯდომარე), ქეთევან კანდელაკისა (თავმჯდ. ამხ.), ბარბარე ოქროპირიძე (ხაზინდარი), თამარ ხახუტაშვილისა (მდივანი), კონსტანცია ხოჯივანოვისა და როზალია ალელიშვილისა.

◆ **მამულის გაყიდვა.** სოფელ ყალამშიის (ბორჩალოს მაზრა) მიერ არჩეული კაცები როგორც იყო, მოურიგდნენ თავ. ქობულაშვილს მამულის შესახებ. ყალამშიელები ტფილისში ჩამოვიდნენ ნოტარიუსთან პირობის დასადებად, მაგრამ რადგან თავ. ქობულაშვილს მამულის გეგმა არა ჰქონია, ამიტომ ნოტარიუსს არ დაუმტკიცებია ყალამშიელებზე ეს მამული. ყალამშიელებმა დესეტინა მამული 6 თუმნად შეიძინეს. ტყეში და მამულში ეხლავე თავიანთ ყარაულებს ჩააყენებენ.

◆ **ბალი დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.** ვინ არ იცის, რა გაჭირვებაშია წელს ქართული დრამატიული საზოგადოება და ქართული დასი. 26 იანვარს საარტისტო საზოგადოების დარბაზებში გაიმართება ბალი დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ. ბალის დიასახლისობა უკისრნია ქ-ნ ეკატერინე სარაჯიშვილისას, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ბალს ხალხი ბლომად მიაწყდება.

◆ **მეხ-გრებთა საჩივრები.** ქუთაისის გუბერნატორს გურიიდან მრავალი თხოვნა და საზოგადო ყრილობათა განაჩენი მიუღია თურმე: ხალხი ჩივის—ადმინისტრაციის წვრილმა მოხელეებმა შეგვჭამეს და გამოიძიეთ საქმეო. გუბერნატორი ამ დღეებში მიდის თურმე გურიის მოსავლელად და საჩივრების ადგილობრივ გამოსარკვევად.

◆ **ქალაქის საბჭო.** ხვალ, 21 იანვარს, ტფ. საბჭოს განსახილველად აქვს 12 საქმე. გუშინ ვწერდით, რომ გუბერნატორმა აუკრძალა ხალხს საბჭოს კრებაზე დასწრებაო. აკრძალვა შეეხება იმ კრებებს, როდესაც საბჭო განიხილავს პროექტს ნორმალურ დასვენების შესახებ სავალდებულო დადგენილებათა. რადგან ხვალ სწორედ ეს პროექტია განსახილველი, ამიტომ, გუბერნატორის მოწერილობის თანახმად, ხალხს არ შეუშვებენ.

◆ **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებიდან მისწერეს მიწათ მოქმედების მთავარ სამმართველოს კავკასიის რწმუნებულის თანაშემწეს ბ-ნ ვასილიევს: გაზეთებში დაბეჭდილია, ვითომ სამინისტროს სრულიად მოესპოს საზოგადოებისათვის ყოველწლიური შემწეობა 6000 მან. და გვაცნობეთ, რაშია საქმეო. გუშინ საზოგადოების საბჭომ მიიღო ვასილიევის ქაღალდი. იგი სწერს: მიწათმოქმედების დეპარტამენტმა არ განიხილა საზოგადოების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ საზოგადოებას 4 წლის ვადით მისცემოდა სესხად 2277 მან. 60 კ., რათა ამ ფულით საზოგადოებას გადაეხადა ბესლერისა და ვახტერის ფირმის ვალი. დეპარტამენტმა არსებითად არ განიხილა შუამდგომლობა იმიტომ, რომ მას ამდენი ხანია არ მიუღია ანგარიშები სამეურნეო საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ და აგრეთვე დეპარტამენტმა არ იცის, რაში იხარჯება მის მიერ ყოველ წლობით გადადებული 6000 მან. თუმცა 6000 მან. წელსაც არის გადადებული, მაგრამ დეპარტამენტმა დამავალა ფულის მოცემა შეაჩეროს, ვიდრე 5 წლის მოქმედების ანგარიშს არ წარმოადგენენო. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეურნეო საზოგადოება, ამ სამოცი წლის წინად დამტკიცებულ წესდების თანახმად, ვალდებული არ არის თავის მოქმედების ანგარიში წარუდგინოს ვისმეს, ნამესტნიკის გარდა, რომელიც საზოგადოების მფარველია. საბჭოს სხდომა მოხდება სამშაბათს, 22 იანვარს. სხვათა შორის, იგი ამ მოწერილობასაც განიხილავს. რადგან რწმუნებულმა, თანახმად მოწერილობისა, კრედიტი არ გაუხსნა საზოგადოებას, მსახურნი უჯამაგიროდ დარჩებიან.

◆ ოლგას ქუჩაზე მცხოვრებ გენერალს კონსტანტინე როზენკაფს სახლიდან მოჰპარეს 250 მანეთის ტანისამოსი.

◆ ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის ქარვასლაში მეორე გილდიის ვაჭრის ნახომ კასსიდის მაღაზიაში დააპატიმრეს ქიზიყელი იასებ ძაძიგური, რომელიც მუქარით 100 მან. სთხოვდა კასიდს. ძაძიგურს ორი ამხანაგი უცდიდა გარეთ, მაგრამ ისინი მიიმალნენ.

◆ 16 იანვარს სახლიდან გასულა 17 წლის ყმაწვილი რევაზ დუკაშვილი და აქამდე არ დაბრუნებულა. ყმაწვილი შავგვრემანია, საშუალო ტანისა, ჭრელ თვალებიანი.

◆ 18 ინავარს ტფ. მეორე გილდის ვაჭარს ივანე კაზეთელიძეს მაღაზიდან მოჰპარეს საქონელი 350 მანეთისა. დააპატიმრეს მეეზოვე ტიხონ კოვტუნი.

◆ 18 იანვარს ელისაბედის ქუჩაზე, არუთინ ქარგალიევს ფურნეში შევარდნია 6 შეიარაღებული კაცი, 20 მან. გაუტაცნიათ და მიმალულან.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

◆ როგორც ვიცით, სამხედრო სასამართლომ გიმნაზიის ორი მოსწავლე გაამართლა, ხოლო 19 წლის დავით კეკუას ჩამოხრჩობა მიუსაჯა. კეკუას ჰბრალდებოდა პოლიციელის ჯაფარიძის მოკვლა და უბნის ზედამხედველის ლორთქიფანიძის დაჭრა. გამამტყუნებელი და კეკუას წინააღმდეგი საბუთი ის იყო მხოლოდ, რომ მკვლელობის შემდეგ ცენტრალურ უბნის ბოქაულს ვიღაცამ აცნობა, მკვლელი მაჩაბლის ბინაზეაო. გაჩხრიკეს ბინა და კეკუა აღმოაჩინეს იქ. პირველსა და მეორე ჩვენებაზე დაჭრილმა ლორთქიფანიძემ ვერ იცნო გარეგნობით დ. კეკუა იმ პირად, რომელმაც ის დასჭრა, ხოლო საქმის გარჩევის დღეს თითქო იცნო. პოლიციის მოხელეებმა განაცხადეს, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მკვლელი კეკუაა, მაგრამ ვერ ვასახელებთ იმათ, ვინც ეს ნამდვილად იცის, რადგან ისინი შიშით ჭეშმარიტ ჩვენებას არ მისცემენო. კეკუას იცავდა ვექილი ალექსანდრე საყვარელიძე.

ვექილმა საყვარელიძემ საქმე მთავარ სამხედრო სასამართლოში განასაჩივრა და ამასთან ნამესტნიკის სახელზე ცალკე თხოვნა გაგზავნა. 15 იანვარს სასამართლოს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

◆ 16 იანვარს პოლიცმეისტრის თანაშემწემ და უბნის ბოქაულმა დილის 11 საათზე ქართულ გიმნაზიაში შეიპყრეს მეშვიდე კლასისის მოსწავლე ს. ჩარკვიანი. იგი სატუსაღოში გააგზავნეს. ნამდვილი მიზეზი დატუსაღებისა ვერ გავიგეთ, მხოლოდ ხმა დადის, რომ პოლიციელის მოკვლას აბრალებენო.

◆ ამავე დღეს ქართულ გიმნაზიის მასწავლებელის სერ. რობაქიძის სახლი გაჩხრიკა პოლიციამ შემდეგ რობაქიძე სატუსაღოში გაგზავნეს. ჩხრეკის დროს ვერაფერი საეჭვო ვერ უპოვნია პოლიციას, თუმცა რამდენიმე წიგნი წაუღია.

◆ დიდის თოვლის შემდეგ ცოტა დათბა და ქუჩები გაუვალი გახდა. ეტლები თუმცა არის ბირჟაზე, მაგრამ ისე გაძნელებულია სიარული, რომ იშვიათად თუ სარგებლობს ვინმე ეტლით. უფრო დიდი გაჭირვება მოქალაქისა ის არის, რომ დასალევ წყალს ვერ შოულობს, რადგან წყლის მომტანნი ვერ ახერხებენ უგზოობის გამო წყლის ზიდვას. ხშირია ისეთი ოჯახი, რომელიც კვირაობით თოვლისა და წვიმის წყლით სარგებლობს.

◆ მოლაპარაკება ქალაქის გამგეობისა და ექიმ ბაქრაძისა და როდზევიჩის შორის საავადმყოფოს მოწყობილობის შეძენის შესახებ, სასურველად თავდება. გარდა ამისა ექიმ როდზევიჩს თანხმობა განუცხადებია, განაგრძოს მოღვაწეობა საავადმყოფოში განსაზღვრულ სასყიდლით ქალაქის ხარჯით. როცა საქმე საბოლოოდ გამოირკვევა, იგი განსახილველად და გადასაწყვეტად მოხსენდება ქალაქის საბჭოს.

◆ 16 იანვარს დაატუსაღეს რეალურ სასწავლებლის მოსწავლე, რომელსაც აბრალებენ თურმე არალეგალურ ლიტერატურის შენახვას და გავრცელებას.

## ახალი მეცნიერული გამოკვლევა ჭლექის შესახებ.

თუ რა საშინლად მძინვარებს ჭლექი და როგორ მუსრს ავლებს იგი კაცობრიობას, ეს, სხვათა შორის, იქიდანაცა სჩანს, რომ, მეცნიერულ გამოკვლევათა თანახმად, ყოველ ორმოცდა ათ კაცზე თითქმის ერთი ჭლექით არის ავად. მთელ რუსეთში ჭლექიანთა რიცხვი თითქმის სამ მილიონამდე ადის. ჭლექით გარდაცვალებულთა რიცხვს რომ მივაქციოთ ყურადღება, სწორედ განცვიფრებაში მოვალთ: მარტო ევროპაში ყოველ წლივ ამ სენით ერთ მილიონამდე კაცი ესალმება წუთი-სოფელს.

სამწუხარო ის არის უფრო, რომ ჭლექით იწამლება ახალგაზდა და ძალით სავსე სხეული და რამდენისამე წლის ტანჯვის შემდეგ ესალმება ცხოვრებას. ვინ მოსთვლის, რამდენი ნიჭიერი და გამოსადეგი წევრი დაუკარგავს საზოგადოებას ამ სენის წყალობით!

წინად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჭლექის გადადებაში უმთავრესი ადგილი ეჭირა ჭლექიან ავადმყოფის მიერ მოშხამულ ჰაერს. მაგრამ თან და თან გამოირკვა, რომ ამ სენის გავრცელებაში ზოგიერთ პირუტყვსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

აღმოჩნდა, რომ ადამიანის და საქონლის ჭლექი ერთი და იგივე ყოფილა, საშიში ყოფილა დიდი მორიდება ჭლექიან საქონლისა, განსაკუთრებით კი ჭლექიან ძროხის რძისა, ნამეტნავად მაშინ, როცა ძროხას ძუძუებზე მარგალიტის მზგავს ძიძიბოებს დააყრის. ამ გვარი რძე, რასაკვირველია, უფრო მომწამლავია ნორჩ ძუძუთა ბავშვისათვის, როდესაც იგი იკვებება ხელოვნურად, დედის ძუძუს მოკლებული.

გვაქვს აგრეთვე მრავალი მაგალითი რძისა, რომ შესაძლოა მოიწამლოს ადამიანი ჭლექის შხამით ავადმყოფ პირუტყვისაგან რძის და ხორცის საშუალების გარდა ამ საშუალებითაც: ამ მოკლე ხანში აღწერილი იყო ასეთი შემთხვევა: ერთმა ჯანმრთელმა ახალგაზდამ ჭლექიან ძროხის გატყავების დროს, ულაზედად თითი გაიჭრა, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ დაუსივდა; დაუსივდა აგრეთვე იღლიის ჯირკვლებიც; ერთ ამოჭრილს ჯირკვალში ჭლექის ბაცილები აღმოაჩინეს.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ დღემდის დარწმუნებულნი იყვნენ, ძაღლი და კატა სრულებით უვნებელნი არიან ჭლექის შხამის მხრივ, ასე რომ ზოგიერთ მეცნიერს აზრადაც კი მოუვიდა მოემზადებინა ძაღლის სისხლისაგან ჭლექის ასაცრელი შრატი. მაგრამ ეხლა-ხან გამოვიდა მეცნიერ პეტიტის *) შრომა, საიდანაც ნათლად სჩანს, თუ რა ხშირია ჭლექი ძაღლსა და კატებს შორის. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ როგორც ძაღლი, ისე კატაც ადვილად იწამლება ჭლექიან ადამიანის ნახველით. მრავალი მაგალითია აღწერილი, რომ ძაღლსა და კატას იმგვარადვე ეწამლება ფილტვები და სხვა ორგანოები, როგორც თვით ადამიანს; ყოველ მათ ჭლექით მოწამლულ ორგანოში მუდამ კოხის ბაცილები აღმოუჩენიათ.

ცხადია, თუ რა დიდ განსაცდელს წარმოადგენს ჩვენთვის ძაღლი და კატა. მართლაც, ძაღლი და კატა ადამიანისათვის ყველაზე უსაყვარლესი პირუტყვებია, მუდამ ოთახში ჰყავს; კატა ხომ ზოგგან ადამიანს ლოგინზედაც უწევს. როგორც შესაძლებელია, რომ ძაღლი და კატა ჭლექიან ადამიანისაგან ჭლექით გახდეს ავად, ისევე ადვილია, რომ მათ თვითონაც მოსწამლონ ჭლექის შხამით საღი ადამიანი.

მეცნიერი პეტიტი აგვიწერს ერთ ოჯახს, სადაც სამი წევრი ჭლექით გახდა ავად, ხანგრძლივ დაკვირვების და მათის მემკვიდრეობის შესწავლის შემდეგ ეს მეცნიერი დარწმუნდა, რომ სამივეს ჭლექი ავადმყოფ ძაღლისაგან გადასდებოდა. ეს ძაღლი დიდი ხანი ჭლექით იყო

*) «La Clinique», № 48, 1907 წ.

---

დიდი ხანია მოხდა ის, რასაც მე ვწერ. ისინი, ვინც ეხლა შეპყრობილია უფერულ ცხოვრების მძიმე ძილით და კვდება გამოუფხიზლებლად, ისინი არ დაიჯერებენ, რომ მაშინ დრო არ იყო—მზე ამოდიოდა და ჩადიოდა, ისარიც მოძრაობდა ირგვლივ, მაგრამ მაინც არ იყო. ბევრი რამ სხვა საკვირველება და უდიდესი რამ მოხდა იმ დღეებში, და არ დაიჯერებენ ისინი ვისაც, ამ ჟამად სძინავთ უფერულ ცხოვრების ძალუმის ძილით და მოკვდებიან ისე, რომ არ გამოფხიზლდებიან.

— უნდა წავიდე!—უთხარი მე.

— მოიცადე, შეგანაყრებ. შენ ხომ დღეს არაფერი გიჭამია. ხომ ჰხედავ, რა გონივრულად ვიქცევი. მე ხვალ წავალ. ბავშვებს მივაბარებ და მოგძებნი.

— ამხანაგო!—უთხარი მე.

— დიახ, ამხანაგო!

დალეწილ ფანჯრებში შემოჰქროდა მინდვრის ჰაერი, იყო სიჩუმე, ხანდისხან მოისმოდა ცულის წკრიალა, გამამხიარულებელი ჭკაკუნი, მე კი ვიჯექი მაგიდასთან, ვაცქერებოდი და ყურს ვუგდებდი. იმდენად ახალი იყო ყველაფერი, რომ მინდოდა მეცინა. კედლებს შევცქეროდი და ამ კედლებს იქითა ვჭვრეტდი, თითქოს ერთის გადახედვით ვითვალისწინებდი მთელ სამყაროს. ვხედავდი, როგორ შენდებოდა ეს კედლები, ვხედავდი, როგორ ინგრეოდა; მარტო მე ვიყავი მუდამ და ვიქნები შემდეგშიაც. ყველა ეს გაივლის, მე კი ვიქნები. ყველაფერი საოცრად და სასაცილოდ მეჩვენებოდა, რაღაც არა ჩვეულებრივად—მაგიდაც, საჭმელიც და ყველა სხვა, რაც ჩემს გარეშე იყო.

— რატომ არა სჭამ?—დამეკითხა ცოლი. პირს ღიმილი მომივიდა.

— პური—რა უცნაურია!

მან დახედა პურს, დაფაშრებულ, გამხმარ პურის ნატეხს და სახეზედ რაღაცა მწუხარება გამოეხატა. დიდ-ხანს განაგრძობდა პურზე ცქერას; წყნარად გაისწორა წინსაფარი და თავი ოდნავ, სულ ოდნავ მიიტრიალა იქით, სადაც ბავშვებს ეძინათ.

— გებრალებიან?—შევეკითხე მე.

თავი გაიქნია და თან პურს თვალს არ აშორებდა.

— არა. მაგრამ მომაგონდა ის, რაც ცხოვრებაში იყო, რაც წინად იყო.

რა უცნაურია! სულ ჰკვირობდა, როგორც დიდის ხნის ძილის შემდეგ გამოფხიზლებული. კვლავ მიმოავლო თვალი ოთახს.

— აქა ვცხოვრობდით.

— შენ ჩემი ცოლი იყავი.

— იქ კი ჩვენი ბავშვები არიან.

— აქ, კედელს იქით, მამა შენი მოკვდა.

— დიაღ, მოკვდა, მოკვდა გამოუფხიზლებლად...

ძილში რაღაცით შეშინებულმა პატარა ქალმა ტირილი დაიწყო. გასაოცრად მეჩვენა ეს უბრალო ბავშვური ტირილი, რომელიც თითქოს თავისას თხოულობდა ამ კედლებს შორის, როდესაც იქ, ძირს, ბარრიკადებს აშენებდნენ.

სტიროდა და თხოულობდა თავისას—ალერსს, რაღაცა სასაცილო სიტყვებს და დაპირებებს.

იგი მალე დამშვიდდა.

— აბა, წადი!—ჩურჩულით მითხრა ცოლმა.

— მსურს დავკოცნო ბავშვები.

— მეშინიან, გააღვიძებ.

— არა, არა უშავს რა.

აღმოჩნდა, რომ უფროსს არ ეძინა. ყველა ესმოდა. ათის წლის იყო, მაგრამ ყველაფერი გაიგო—ისეთის ღრმა და სასტიკის თვალებით დამხვდა.

— თოფს წაიღებ?—მკითხა მან სერიოზულად.

— წავიღებ.

— ფეჩ ქვეშ არის.

— საიდან იცი? აბა, მოეხვიე. არ დამივიწყებ, გეხსომები?

ძილისაგან მთლად გახურებული, თავის მოკლე ხალათით ლოგინიდან წამოხტა, მაგრა მომეხვია კისერზედ. ხელები თბილი, რბილი და ნაზი ჰქონდა. წამოუწიე თმები კეფაზედ და პატარა გახურებული კისერი დავუკოცნე.

— მოგკლავენ?—ჩამჩურჩულა ყურში.

— არა... ისევ დავბრუნდები.

საკვირველია, რატომ არა სტიროდა? წინად ხან და ხან ტიროდა მაშინაც კი, როცა ისე გავიდოდი ხოლმე სახლიდან—ნუ თუ იმანაც იგრძნო? ვინ იცის—ისეთი ბევრი რამ საშიში მოხდა იმ დღეებში.

შევხედე კედლებს, პურს, სანთელს, რომლის ალიც კვლავა კრთოდა, და ჩავჭიდე ხელი ჩემს ცოლს.

— აბა, ნახვამდის!

— ნახვამდის!

გზას გავუდექი. კიბეზედ ბნელოდა და შმორის სული იდგა. გარეშემო ქვები და სიბნელე მერტყა. ხელის ცაცუნით ვპოულობდი საფეხურებს. ვიგრძენი ახალი და სასიხარულო რამ—ეს ის იყო, რაც შეადგენდა ჩემის მგზავრობის მიზანს, სადაც მივდიოდი უდიდესის, მძლავრის, ყველაფრის დამჩრდილავ გრძნობით ალვსილი.

**გ. დჟუქელაშვილი.**

ავად, შემდეგ როდესაც მოკვდა, მეცნიერმა გასჭრა და ნახა, რომ ორივე ფილტვი ჭლექით ჰქონდა გაფუჭებული. ადამიანი იწამლება ჭლექიან ძაღლისაგან უმთავრესად იმის ნახველით.

**ექიმი ბაქრაძე.**

# რუსეთი

**პეტროვის მღვდლობიდან გადაყენება.** ცნობილმა მღვდელმა პეტროვმა მიტროპოლიტ ანტონის მისწერა წერილი, რომელშიაც მისი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი შეხედულებანი იყო აღნუსხული. შემდეგ ეს წერილი პეტროვმა ცალკე წიგნად დაბეჭდა და ხალხში გაავრცელა. სინოდმა 12 ნოემბერს მოისმინა მიტროპოლიტის მოხსენება პეტროვის შესახებ, წიგნი განიხილა და დაასკვნა, რომ წიგნში მართლმადიდებელ ეკლესიისა და არსებულ წეს-წყობილების საწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული. სინოდმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაჰგმო რევოლიუციონური წიგნი და ავტორიც მღვდლობიდან გადააყენა.

**იოან კრონშტადტელის სექტა.** ამ ბერს, რომელსაც ბნელ ხალხში წმინდანის სახელი აქვს დავარდნილი, გარშემო ძალიან ბევრი პირები ახვევია. კრონშტადტელის სექტის შესახებ წინათაც ბევრს რამეს სწერდნენ, მაგრამ ბოლო ხანებში მათ საზიზღარ საქმეების შესახებ უფრო მეტი ცნობები გამოქვეყნდა გაზეთებში. გამოირკვა, მაგალითად, რომ კრონშტადტელის ვითომდა თანამოაზრენი სოფელ-სოფელ დაძრწიან, გაუნათლებელ ხალხს ატყუებენ, ტყავს აძრობენ მათ, დააქვთ ჯვრები და იოანეს ხატები, რომლებსაც ერთი ათად უფრო ძვირად ჰყიდიან, ვიდრე ნამდვილათ ღირს. და ყველა ამას ისინი წმინდა საქმეს ეძახიან. მაგრამ ეგრეთ წოდებული „იოანნიტები" მარტო ამითი არა კმაყოფილდებიან. ისინი ხშირად ახალ-გაზდა ქალებს იტყუებენ ხოლმე, აუპატიურებენ მათ და აუბედურებენ. ყველა ამას ზედ დაუმატეთ შავ-რაზმული პოლიტიკა კრონშტადტელისა, და თქვენ ნათლად დაინახავთ რა საზიზღარ ორგანიზაციასაც წარმოადგენს ეს სექტა.

**ხომიაკოვი და ოქტომბრისტები.** სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარესა და ოქტომბრისტებს შორის ურთიერთობა გამწვავდა. საქმე იმაშია, რომ ამ რამდენისამე ხნის წინათ ხომიაკოვმა უკმაყოფილება გამოაცხადა სახელმწიფო სათათბიროს მოქმედების შესახებ. ოქტომბრისტები ამ გარემოებას ისე ძალიან გაუბრაზებია, რომ თავმჯდომარის წინააღმდეგ აგიტაციასაც ეწევიან. ოქტომბრისტებს უნდათ ხომიაკოვი თავმჯდომარეობიდან გადააყენონ და როძენკო აირჩიონ.

**სამინისტროს კანონ-პროექტი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სათათბიროში შეუტანია კანონ-პროექტი... საიდუმლო პოლიციის რეორგანიზაციის შესახებ. კანონ-პროექტის საფუძველი ამნაირია. ხუთას ათას მცხოვრებზე ერთი ათასი მანათი ხარჯი მოდის. საიდუმლო პოლიცია რამდენიმე ხარისხისა ყოფილა. პირველი ხარისხის საიდუმლო პოლიცია ტფილისსა და ხარკოვში ყოფილა. სამინისტროს ეხლა სურს პირველი ხარისხის პოლიცია სხვა ქალაქებშიაც შემოიღოს, მეორე ხარისხისა—თერთმეტ ქალაქში, მესამე ხარისხისა—ბევრს წვრილ ქალაქებში. ჩვენც ვიტყვით, პარლამენტი გვაქვს, და დეპუტატები რუსეთის განახლებისთვის მუშაობენო.

**მუშების დასჯა.** პოლტავიდან იწერებიან, 1905 წელში გამართულ გაფიცვის გამო ხარკოვის სასამართლო პალატამ 1 მუშა 4 წლით სატუსაღო განყოფილებაში დამწყვდია, 4—ერთი წლით დატუსაღება, ერთს—8 თვის ციხე. ოთხიც გაამართლეს.

# უცხოეთი

**ოსმალეთი და სპარსეთი.** სპარსეთში მდგომარეობა ძალიან მწვავდება. ყველას ეგონა სპარსეთში მშვიდობიანობა ჩამოვარდაო, მაგრამ მალე სურათი სულ მთლად შეიცვალა. სპარსეთის სხვა და სხვა პარტიათა შორის ურთიერთობა ისე ძალიან გამწვავდა, რომ საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა. თავრიზიდან დეპეშით იუწყებიან, რომ დილიდან დაწყებული პარტიათა შორის საშინელი სროლა იყო ატეხილი, ცარცვა-გლეჯა შეუწყვეტლივ სწარმოებდაო. განსაკუთრებით ძალიან დაზარალებულან რეაქციონერები; იმ უბანში, სადაც რეაქციონერების მეთაური სცხოვრობს, საშინელი სროლა იყო ატეხილი. შინაურ უთანხმოებას ზედ დაერთო ის გარემოება, რომ ოსმალეთის ჯარები ერთავად წინ იწევს და სპარსეთის ტერიტორიას იჭერენ. ურმიიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ფაზილ-ფაშამ სამი ბატალიონი ქვეითა ჯარით, ბატარეითა და აუარებელ ქურთებით კიდევ წინ წაიწია და დაიჭირა სოფელი ინდირკაში, რომელიც სოუჯბულიხვდან რვა ვერსის მანძილზე იმყოფება. მას შეუტყობინებია, რომ იგი კიასაკბრიჩისკენ აპირებს წასვლას. თუ ოსმალებმა ეს ადგილიც დაიჭირეს, პრინცი ფერმან ფერმა სპარსეთის სხვა ნაწილისაგან სრულიად მოწყვეტილი იქნება. პრინც ამამ-გულის შიშვანიდან მიანდაბში შვიდასი კაცი წაუყვანია მაშველებლად. ოსმალეთის ჯარების უფროსს ფაზილ-ფაშას წერილით შეუტყობინებია ფერმან ფერმისთვის, რომ სპარსეთის ტერიტორიაზე სოფელ მოჰამედშაჰი დაიჭირო. ფერმან-ფერმას მიანდაბიდან დეპეშით შეუტყობინებია თავრიზში ენჯუმენისთვის, რომ იგი იძულებული გახდა სოუჯბულახისთვის უბრძოლველად თავი დაენებებინა. ფერიკ-ფაშა ოსმალეთის ჯარითა და არტილერიით სოუჯბულახში შესულა. ოსმალეთის ჯარები თავისუფლად გადავიდნენ სპარსეთის ტერიტორიაზე, რომელსაც არსაიდან დამცველი არ უჩანს. თავრიზიდან იუწყებიან, 13 იანვარს რეაქციონერებმა გამოუშვეს მოწოდება, რომელშიაც ხალხს ურჩევდნენ, შინაურ პარტიულ ბრძოლას თავი დაანებეთ და საზღვარზე წადით გარეშე მტერთან შესაბრძოლებლათო.

**ამერიკა.** ტაფტის კანდიდატურა შეირყა. აქამდის ყველა დარწმუნებული იყო, რომ პრეზიდენტად აუცილებლად სამხედრო მინისტრს ტაფტს აირჩევდნენ, ეხლა კი საქმე მდგომარეობა შესამჩნევად იცვლება. ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა გიუგსმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მას სურს პრეზიდენტობაზე კენჭი იყაროს. რადგანაც დღემდის ტაფტის მეტი კანდიდატი არა ყოფილა, რესპუბლიკანურ პარტიის უმრავლესობა მას უჭერდა მხარს. ეხლა კი გიუგს მიემხრობა. უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ტაფტი ენერგიულად ეწევა აგიტაციის თავის სასარგებლოთ; მას გაუზრახავს, თურმე, სამსახურსაც კი თავი დაანებოს, რომ საგიტაციოთ უფრო მეტი თავისუფალი დრო ჰქონდეს. ამერიკის გაზეთები ფიქრობენ, რომ ძალიან ძნელია იმის გადაწყვეტა თუ ვის დარჩება გამარჯვება არჩევნებში. ორივე მხარე აგიტაციას ეწევა და, როგორც ეტყობა, დათმობა არა სურთ.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ წერილს.

ერევნის ციხეში, სხვათა შორის, იმყოფება ორი ქართველი ტუსაღი კატორღაში მიმავალი—ივანე მელანაშვილი და ნიკოლოზ კალაძე. ესენი უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან არავითარი დახმარება არ აქვთ არავისაგან. ქ. ერევანში მყოფმა ქართველებმა მოისურვეს მათი დახმარება და ერთ ქართველს ბ-ნ გერმანე გოგაძეს (თერძად იყო ერევანში) მიანდვეს, რომ მას მოეხდინა ფულის შეგროვება ქართველთა შორის. გასულ წლის ნოემბერში ამ ვაჟბატონმა შეაგროვა ორმოც მანეთამდე და იმის მაგივრად, რომ გარდაეცა ეს შემოწირული ფული უსახსრო და უპატრონო ზემოთ აღნიშნულ ტუსაღებისათვის, თვითონვე გაფლანგა. არა ერთხელ და ორჯელ შევეკითხნენ ბ-ნ გერმანეს ფულის თაობაზე, მაგრამ თავიდან ასაცილებლად იძახა: დღეს-ხვალ, დღეს-ხვალაო. ეს დღეს-ხვალ უკვე დაილია და გერმანეც ხადლაც გადაიხვეწა. ამის გამო ჩვენ, ერევნის ციხის ქართველი ტუსაღები, ვუცხადებთ გერმანე გოგაძეს ზიზღს ასეთ არა ადამიანურ საქციელისათვის.

**ტუსაღი ნ. მეზურნიშვილი.**

რედაქტორი **ვალ. გუნია.**

გამომცემელი **ე. ავალიშვილი.**

# განცხადებანი

## ვამზადებ

ნემეცურ მასწავლებლის ხარისხის მისაღებად და აგრეთვე ვწრთვნი ბავშვებს საშუალო სასწავლებლის დაბალ კლასებში. გათავებული მაქვს ცენტრალური ნემეცური სასწავლებელი.

ადრესი: ნიკოლოზის ქუჩა, № 58. ნახვა 3—6 ს. (3—36—1)

## აუქციონი

სამოქალაქო სააუქციონო ზალა საჯაროდ გაჰყიდის ტრაქტირის ავეჯეულობას ბილიარდიანად, პატრონის სურვილისამებრ, დღეს, 20 იანვარს, კვირას. პუშკინის ქუჩა, წინად აკოფოვისა და ეხლა სომეხთა სემინარიის სახლში. (1—33—1)

## საოჯახო სასტუმრო „Семейные номера"

შუა ქალაქში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, ელისაბედის ქუჩაზე, სახლი მილოვისა, № 1. იძლევა ქირით ოთახები თვიურად და დღიურად. თვიურად 15 მანეთიდან 50 მანეთამდე და დღიურად 60 კაპ. 2 მანეთამდე ოთახები მშრალი, თბილი და ნათელია. შეიძლება ოთახების გაქირავება ჭამა-სმითაც. სრული მშვიდობა და მყუდროება.

**ყველას ვთხოვ ჩემი მანეთიანი ოთახი შეადაროს სხვის ორ მანეთიან ოთახს.** (20—509—14)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

## საჭირო

**თანამშრომელნი ორივე სქესისა.**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ ვგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—98)

სავაჭრო სკოლა. ║ საბუხჰალტერო კურსები.

## ივ. ზაქ. ტერ-სტეფანოვისა

(გათავებული აქვს უმაღლესი საკომერციო კურსები პეტერბურგში)

სკოლა **ხუთ კლასიანი** (პროგ. საშ. სასწ.) ✦ (კურსი ნახევარ წლისა) ორივე სქესისათვის; თხოვნების მიღება, პროგრამის და წესდების მიღება შეიძლება ყოველ დღე. ადრესი: პირველი **თუმანოვის** ქუჩა (ავჭალ. ქუჩ. დასაწყისი) საკ. სახლი № 13. (3—12—3)

## ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი"

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით**: არის „სპერმატინი". იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რამე ადგილზე მოქმედებს. არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **წყაროა**, იგი **ძალის მომმატებელია**. „სპერმატინი" მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის" ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. **«სპერმატინი»** შედგენა **ბროუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენაა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღალულობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მეჯარობის ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, პლევრს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას ბნედას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

**უფალო ი. გ. ახობაძე!** თხუთმეტი წელიწადია, რაც მე კუჭის ტკივილი (კატარი) მაწუხებდა რამაც ძლიერი ნერვების სისუსტე, სულის ხუთვა, გულის კანკალი და სრული უმადობა გამოიწვია ჩემში. მტკიოდა აგრეთვე ხერხემალი, მარცხენა გვერდი საშინლად გამისივდა და ორივე ბეჭში ტეხვა მქონდა ავარდნილი. მივმართე ექიმებს, ვიხმარე სხვა და სხვა წამლები, მაგრამ შესამჩნევი უკეთობა მაინც ვერ ვიგრძენ. ბოლოს გაზეთ «ისრის» წყალობით გავიგე, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში მომზადებულ «სპერმატინს» ძლიერ კეთილი შედეგი მოაქვს, თითქმის ყოველ ავადმყოფობის წინააღმდეგ, რომლის საწყობი თქვენთან ყოფილა მთელი კავკასიისათვის, და დავეშურე მიმეღო ეს უკანასკნელი საშუალებაც. ოთხი ფლაკონის მიღების შემდეგ თან და თან ვგრძნობდი უკეთობას და 7 ფლაკონის მიღების შემდეგ კი სრულიად განვიკურნე. რისთვისაც ღრმე მადლობას ვუძღვნი, როგორც ლაბორატორიის გამგეს ბ-ნ ივანოვს, ისე თქვენ.

დავშთები ღრმესის პატივისცემით **ვ. ფ. მახვილაძე.**

ტფილისი, სინოდალური ქ. სახლი № 4. 24 დეკ.

**მ. ხ. ბ. ახობაძე!** გულით და სულით მადლობას გიძღვნით იმისთვის, რომ მე მყავს ერთად-ერთი უძლურ-მწოვარი ბავშვი, რომელიც მყავდა რვა თვეს ავად. ბევრი წამალი ვიხმარე, მაგრამ არაფერი საშუალება არ მისცა წამალმა. ბავშვი უკანასკნელ მდგომარეობაში ჩავარდა. იმდენად დასუსტდა, რომ ჭამაც მიატოვა. შემდეგ გავიგე გაზეთ „ჩვენი გზის" წყალობით, რომ თქვენ გაქვთ კანტორა და საწყობი «სპერმატინისა», რომელიც მოქმედებს თითქმის ყოველ ავადმყოფობის წინააღმდეგ. მე გამოვიწერე ერთი ფლაკონი და რომ მიიღო ბავშვმა, გაცოცხლდა; ერთის სიტყვით, ბავშვი სრულებით მორჩა. ამიტომ კიდევ დიდს მადლობას გწირავთ. ჩვენი ადრესი სოფელ ჭაკანი, ქუთაის. გუბ. და მაზრა. **სევერიან მოცხვერიძე.** 20 ოქტომბერი.

„სპერმატინი" განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით «სპერმანი» ნ. ნ. ივანოვისა და ამ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ"-მან ნ. ივანოვისამ, დღეს-კი «სპერმატინმა» ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელო წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**ბ-ნი კალენიჩენკოს,** ყოფილი წარმომადგენელი „სპერმატინის" გაყიდვაში, ეხლა ამ თანამდებობაში არ იმყოფება. ჩემს ლაბორატორიასთან „სპერმატინის" მომზადების საქმეში მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. მსურველს, ი. ნ. ივანოვის „სპერმატინის" ვთხოვთ მიმართონ ჩვენ წარმომადგენელს მთელ კავკასიისათვის ი. გ. ახობაძეს. ადრესი: ტფილისი, ვერა მოსკოვის ქუჩა სახ. № 4. ან „სპერმატინის" კანტორის განყოფილება: ბაქოში, ი. გ. ახობაძეს სტარო-პოლიციის ქუჩ. სახ. ლაზარევისა № 14. და ქუთაისში აფთიაქის საწყობში კოკოჩევთან მოიკითხეთ «სპერმატინი» ახობაძისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა № 4. **უზიდოდ საქონელი არ იგზავნება.** (0—5.—21)

აქციონერთა საზოგადოება „გრამოფონი"



## ტფილისის განყოფილება

**გოლოვინის პროსპექტი, № 9**

გრამოფონი პირველია, როგორც

### მოდისა და თან საუკეთესო საჩუქარი,

რისთვისაც მზადა გვაქვს მომავალ

## შობის დღესასწაულისათვის

ჩვენის წარმოების საქონელი და ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას მობრძანდნენ საზოგადოების მაღაზიაში: გოლოვინის პროსპექტი, № 9 და დარწმუნდნენ, რომ გვაქვს დიდ-ძალი **ახლად გამოშვებული აპარატები, უკანასკნელ კონსტრუქციისა, მკვიდრის მექანიზმით** სულ ახალ მოდელებისა და ყოველგვარ ასორტიმენტით. **ფასები** გადაჭრილია რუსეთისა, კავკასიისა და კასპიის იქითა მხრისათვის. ვინც სხვა ფირმის ფირფიტებს ყიდულობს, ზარალობს. მრავალ წელთა აგანმავლობაში შეძენილ რენომეს შესარჩენად ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს არა თუ საუკეთესო საქონელი მივაწოდოთ საზოგადოებას, არამედ, **მოლაპარაკე მაშინის** მოყვარულთა და მეგობართა ინტერესების დასაცველად, უნდა გავაფრთხილოთ კიდეც, რომ ყალბი მაშინები არ შეიძინონ სხვა ფირმებისა, მაგალითად ახალ საზოგადოების მელიდოფონისა. დიდი განსხვავება მელიდოფონის და ჩვენის ფირმის ფირფიტებ შორის ყველასთვის თვალსაჩინოა. სიტყვა **„გრამოფონი"** შემკრებელობითი სახელი კი არ არის, არამედ საკუთარი **პატენტიანი** სახელია ჩვენის ფირმის საქონლისა. სიყალბის თავიდან ასაცილებლად ვაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმას, რომ ჩვენ წარმოების საქონელს აქვს ჩვენი საფაბრიკო ნიშანი.

გრამოფონი ოჯახში **არა** მარტო გამრთობია, არამედ **აღმზრდელიც**. უნდა ეძებდეთ **ლირსებას** და არა **სიიაფეს**.

მსურველებს შეუძლიანთ მობრძანდნენ მაღაზიაში (გოლოვ., 9) გრამოფონების გამოსაცდელად. კატალოგები და ფირფიტების სია უფასოდ. გვაქვს ფირფიტები სომხურ, ქართულ, სპარსულ-თათრულ და სხვა ენებზე.

საგანგებო ყურადღებას იქცევს განთქმულ მომღერლების ფირფიტებში: **ადელინა პატისა, მელბასი, ბოროვატის, ტეტრაცინისა, ბონისენისა, ზემბრიხის, არნოლდსონის, კურცის, ფიგნერის, გიალდევის, კარუზოს, რუფოს, ბატისტინის, შალიაპინის, სობინოვის და სხვათა.**

ჩვენი საზოგადოების ყოველგვარი ნაწარმოები იყიდება ქალაქ ალექსანდრეპოლში გუნჯულოვთან და ყარსში გუნჯულოვი ც. შ. კ. სურუნიანთან „რ. ა. კუნქულოვი და შვ."-თან. (15—768—14)